ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4963208

ნომერი: AR1747936

თარიღი : 11.05.2020

გაცემის თარიღი : 25.05.2020

გაცნობის თარიღი : 28.05.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ , (ნაკვ. 006/002) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ , (ნაკვ. 006/003) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალა კახნიაური პ/ნ 08001000513
- თბილისი ს.ქურდიანის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13

აგვისტოს №4629394 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 11 მაისს №AR1747936 განცხადებით მომართა ალა კახნიაურმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის და საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), ბოტანიკურის ქ. №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.02.001.017, ფართობი: 966452.00 კვ.მ.) (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 13 აგვისტოდან 2020 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ვინაიდან დაემატა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და მესაკუთრე (საკადასტრო კოდი: №01.15.08.005.015, ფართობი: 5737.00 კვ.მ, მესაკუთრე: სს „ქართუ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204876642)), მოთხოვნილია აღნიშნული ცვლილების სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებაში ასახვა.

განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია განახლებული გენგეგმა საპროექტო ობიექტის დატანით, რომლითაც დგინდება, რომ საპროექტო ობიექტი განთავსებულია №01.15.08.005.015 და №01.18.02.001.017 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882020058526, მომზადების თარიღი: 30/01/2020 14:37:07) თანახმად, №01.15.08.005.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სს „ქართუ ჯგუფი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204876642) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20009752, მომზადების თარიღი: 30/01/2020 16:22:23) თანახმად, სს „ქართუ ჯგუფი“-ს (ს/ნ: 204876642) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორი - გოჩა ჩიკვილაძე (პ/ნ: 01023008103). სამსახურში წარმოდგენილია სს „ქართუ ჯგუფი“-ს აღმასრულებელი დირექტორის - გოჩა ჩიკვილაძის მიერ ალა კახნიაურის სახელზე გაცემული 2019 წლის 27 თებერვლის №07 რწმუნებულება, რომლითაც დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებაში და:

1.1 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. მოწონებულ იქნეს ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), ბოტანიკურის ქ. №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.02.001.017, ფართობი: 966452.00 კვ.მ.) (ძეგლი) და ქალაქი თბილისში, გზატკეცილი კოჯორი, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, (ნაკვ. 006/002); ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კოჯორი, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, (ნაკვ. 006/003); ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კოჯორი, №13; ქალაქი თბილისი, კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კოჯორი, №13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004) (საკადასტრო კოდი: №01.15.08.005.015, ფართობი: 5737.00 კვ.მ.) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების არქიტექტურული პროექტი.

1.2 ბრძანებას დაემატოს საჯარო რეესტრის ამონაწერი (განცხადების რეგისტრაცია: №882020058526, მომზადების თარიღი: 30/01/2020 14:37:07, საკადასტრო კოდი: №01.15.08.005.015).

1.3 დამკვეთის ინფორმაციის ველში „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღთან” (ს/ნ: 404405960) ერთად დაფიქსირდეს სს „ქართუ ჯგუფი“ (ს/ნ: 204876642).

1.4 სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებით შეთანხმებული გენგეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი განახლებული გენგეგმით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 13 აგვისტოს №4629394 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.